№ 165 1877

# ივერია

№ 165 1903

აგვისტოს 3, კვირა 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, პირველ აგვისტოდგან «ივერია» აღარ გაეგზავნება.

პირველ აგვისტოდგან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია"

ჰღირს 5 მან. 50 კაპ.

გაზეთის „ივერიის" ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ხოპერია და სოფიო ნიკოლოზის ასული გირმონოვისი შვილებითურთ, აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთა, რომ 2 აგვისტოს დ. ბორჯომში გარდაიცვალა ასული პირველისა და ძმის წული მეორისა

**ნატალია ალექსანდრეს ასული ხოპერია**

ბორჯომიდგან მიცვალებულს გაასვენებენ ორშაბათს, 4 აგვისტოს, და დაასაფლავებენ ს. შხეფში, სენაკის მაზრა, სამშაბათს, 5 აგვისტოს. (1—1)

## ჟირარდის მანუფაქტურების სააქც. საზ. საწყობი

სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა

მრავლად მიღებულია საზაფხულო სეზონისათვის:

**საქალო მატერიები:** ბატისტი, სატინა, მუსლინი, კრისტა, ლინი, არეუან ტინი, მერველიე, ბრომე, ბროდე ზოლიანი, პლიუმეტი, ლევანტინ-ფულიარი, ფერადი ტილო.

**საკიტელოს მატერიები:** კოლომენკა, რაგოჟა, ემმაკის ტყავი-მოლესკინი, პა რუსინა გიმნაზიელთა ბლუზებისთვის.

**საფარდეგო ტილო და ტიკი ფარდეგისა და მარკიზებისათვის**

**საბანაო ზეწრები**, ხალათები და სხვა კუთვნილებანი

ნიმუშები უფასოდ ეგზავნებათ მსურველთ.

**დონნერი და ლეიტცი.** (100—67)

## ისყიდება სურამში

იუნკერთა სასწავლებლის პირდაპირ მშვენიერი საგარაკო ადგილები

### „სანზეიმო"

თვისის მდებარეობით და ჰავით ჰსჯობია ყველა საგარაკო ადგილებს. დასარწმუნებლად ვსთხოვ მყიდველებს ინახულონ ადგილობრივ.

მამული მდებარეობს შოსის გზის პირად, შიგ მამულში გაყვანილია ფართო გზები, მოაგარაკეთა სასეირნოდ დატოვებულია ორი მოზდილი „პარკი" ფიჭვისა მუხისა, დაპირობების გასაგებათ შეიძლება მიჰმართოთ:

**სურამში:** კნეინა ევა გიორგის ასულს ჩხეიძისას,

**ტფილისში:** „ივერიის" რედაქციის კანტორას და ნოტარიუსს მღებროვის კანტორაში ერევნის მოედანი, სახლი № 2). (30—23).

გამოვიდა და იყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების" მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

**წიგნის ისტორია**

შედგენილი დ. კარიჭაშვილისა.

14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2.

დანიელ დეფოს

**რობინზონ კრუზე**

მეორე გამოცემა მრავალის სურათით.

162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებით: Тифлисъ, Общество грамотности.

**ქართული წიგნის მაღაზია**

გაიხსნა ავჭალის ქუჩაზედ, რეუტოვის ქუჩის კუთხეში, პაპოვის სახლში, სადაც ისყიდება ყოველნაირი ძველი და ახალი ქართული წიგნები. აქვე ყიდულობენ ძველს წიგნებს, სხვა ენებზედ დაბეჭდილსაც. (10—10)

ზემო ავჭალაში, ბაქანს ახლოს, იყიდება

**საგარაკო ადგილი,**

რომელზედაც ვენახია გაშენებული, 1.000 ჩორსი საჟენი. ფასი 2.500 მან. შეიძლება გაიყიდოს პატარა ნაკვეთებადაც, 100—200 ჩორსი საჟენი. ფასი საჟენისა 2—3 მანათი. მსურველთ მიჰმართონ შ. დ—ს „ივერიის" რედაქციაში. (10—9)

**ახალშენიშვილი**

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის (წლ.)

ტფილისში, ავჭალის ქუჩაზედ,

**იჯარით იძლევა**

დიდი სახლი, რომელიც სასტუმროდ შეიძლება გადაკეთდეს. ქვემო სართულში სავაჭრო დუქნებია. შემოსავალი 10.000 მანეთს აღემატება. მსურველთ მიჰმართონ შ. დ—ს „ივერიის" რედაქციაში. (10—9)

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილისქუჩიდან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 11—1 ს.

**ზრ. მ. ხოგოლევსკი**—ლოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით. (წ.)

46—8 ტელეფონი № 274

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გქელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

**ა. ბ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

**ლ. მ. ბარტოლდი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

**გ. ს. ლევი** 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7—საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 7½, 8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 8½—8 ს.

**ს. ტ. არზანიტაკი.** 11—1 ს. გათებსსაუკეხლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Воронцова

(წლ.

## ტფილისი

✦ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწეს გენერალ-ლეიტენანტს ა. ა. ფრეზეს 21 ივლისს ბედნიერება ჰქონდა წარდგენოდა მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს. როგორც რუსული გაზეთები იუწყებიან, გენერალი ფრეზე ამ თვის ნახევარში ტფილისს დაბრუნდება.

✦ უწმ. სინოდს დაუდგენია დაარსდეს წმ. გიორგის ეკკლესიასთან, სოფ. მამკოდას ახლოს, დედათა მონასტერი. ამ ეკკლესია'ში კვირა-უქმე დღეს დიდძალი ხალხი დაიარება ტფილისიდგან სალოცავად, უფრო კი სასეირნოდ. რამდენიმე წელიწადია, რაც აქ რუსეთიდგან გადმოსული მონოზნები დაბინავდნენ.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ ფოსტით გაგზავნილი საეკკლესიო ნივთები, როგორც, მაგალითად, ხატი, ჯვარი, წიგნები და სხვ., ფოსტის მოხელეებმა თუ შენიშნეს, საეპარქიო მთავრობას უნდა წარუდგინონ.

✦ ექიმი-ქალი მარიამ კონსტანტინეს ასული იოსელიანისა, რომელმაც წარსულ წელს პეტერბურგის სამედიცინო კურსებზედ დაამთავრა სწავლა და ერთი წელიწადი იქვე ივარჯიშა, ამ ჟამად ტფილისის საბებიო ინსტიტუტში გამწესდა.

✦ ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორმა მისწერა ტფილისის მაზრის უფროსს,—ღონისძიება მიიღეთ, რომ საგარეჯოსა, მანავისა, ნორიოსა, ხაშმისა და სხვა სოფლის საზოგადოებათ დროით შეავსონ სასკოლო გადასახადი, რადგანაც ზოგს მასწავლებელს ჯერ არ მიუღია რამდენისამე თვის ჯამაგირიო.

✦ ბელგიის უსახელო საზოგადოება შუამდგომლობასა სთხოვს ქალაქის გამგეობას, რომ მთავრობამ ნება მისცეს უბაჟოდ გადმოიტანოს საზღვარ-გარეთიდგან ყოველი მოწყობილობა საელექტრონო ტრამვაისა.

✦ მანგლისიდგან ვიღაცა ვითომდა მანგლისელი სომხურ გაზეთ „მშაკ"-სა (№ 164) სწერს კორესპონდენციას, სადაც, სხვათა შორის, ამბობს: „ძველ მანგლისში ერთი დიდებული მონასტერი არის, რომლის ხუროთ-მოძღვრებაც ცხად-ჰყოფს მისს ბერძნულობასა თუ სომხურობას; ეხლა კი რუსთა სასულიერო გამგეობის ხელშიაო". მანგლისელი რომ ყოფილიყო ეს უვიცი კორესპონდენტი, რომელიც სტილის ცოდნას ჩემობს, არ შეიძლება არა სცოდნოდა ამ მონასტრის ნამდვილი ამბავი.

✦ გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლების მეთვალყურეს თ. ჟორდანიას, როგორც „ცნ. ფურ." იუწყება, ოფიციალური ცნობა მისვლია ოლქის მეთვალყურესაგან, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდან სამეგრელოს სამრევლო სკოლებში ქართული ენა მოისპოს და სწავლება რუსულ ენაზე სწარმოებდესო.

ეს ამბავი ჩვენ უფრო ადრე ისეთ კაცისაგან გავიგონეთ, რომელსაც საეპარქიო სამმართველოსთან ძალიან დაახლოვება აქვს, მაგრამ მაინც ვერ ვერწმუნეთ, რადგანაც მეორე სარწმუნო კაცმა გადმოგვცა თვით ოლქის მეთვალყურეს ნათქვამი, რომ ერთის წლის განმავლობაში სამრევლო სკოლების პროგრამა არ შეიცვლებაო. ეხლა არ ვიცით, რომელ ერთს დავუჯეროთ.

✦ დღეს, 4 ივლისს, პრივატ-დოცენტი კიევის უნივერსიტეტისა ა. ნ. გრენი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში წაიკითხავს ლექციას საქართველოს შესახებ, ამ პროგრამით: საქართველოს მოკლე ისტორია. ნადირ-შაჰის ეპოქა აღმოსავლეთის ქვეყნებში. დახასიათება მეფე ერეკლე II-ისა. მისი ცხოვრება გამეფებამდე. საქართველოს მიმოხილვა მეფე ერეკლეს დროს. შინაურული უთანხმოება. დედოფალი დარეჯანი, იმედი რუსეთის დახმარებისა და ურთიერთობა იმერთა, სპარსთა და ოსმალოსთან. მეფე ერეკლე დიდებისა და ძლიერების დროს. ომარ-ხანი ავარიელი. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა. მუჰამედ-ხანი და გარდაცვალება ერეკლე მეფისა. დაწესებულებანი და წოდებანი საქართველოში ერეკლე II დროს მოქალაქობრივი ცხოვრება, სოფლის მეურნეობა და ფინანსები. საქართველოს მხედრობა და კულტურა. ლექცია საღამოს 8 საათზე დაიწყება. შესვლის ფასი 50 კაპ.

✦ 2 აგვისტოს ტფილისის საგუბერნიო სატუსაღოში 530 პატიმარი ყოფილა, 516 კაცი და 14 ქალი; მეტეხის ციხეში 362 პატიმარი, 358 კაცი და 4 ქალი.

✦ ცნობილი ფრანგი მოგზაური და არქეოლოგი ბარონ დე-ბაი ისევ აპირებს ჩვენ ქვეყანაში ჩამოსვლას სამოგზაუროდ. ტფილისში მოელიან 10 ენკენისთვეს. ტფილისიდან ბარონ დე-ბაი გაემგზავრება სანახავად საქართველოს იმ ნაწილისა, რომელიც შავის ზღვის პირადა სძევს. მოგზაურობას დაიწყებს ახალსენაკიდან, გაივლის ზუგდიდს, ოჩამჩირეს, სოხუმს, გუდაუთს, იქიდან გაგრასა და სოჩაში ჩავა. საფრანგეთში რომ დაბრუნდება, ჩვეულებრივ, ერთ-ერთ სამეცნიერო საზოგადოებაში წაიკითხავს კონფერანსს ჩვენის ქვეყნის შესახებ.

✦ იქ, სადაც სოფლელები სამრევლო სკოლის სასარგებლოდ ხარჯს არ ეწევიან შენობის აგებასა თუ სკოლის გათბობა-განათებაში, სამრევლო სკოლების ოლქის მეთვალყურის აზრით, უნდა გამოეცხადოთ მცხოვრებთ, რომ თუ ხარჯს არ გაიღებენ სკოლის სასარგებლოდ, სკოლა დაეხურებათ და სხვა ადგილას გადაიტანენ, ე. ი. იქ, სადაც გლეხები შესაფერ გადასახადს მისცემენ. გარდა ამისა, ჰფიქრობენ, ხაზინიდან რომ ფული ეძლევა სკოლებს, ის ფული შეამცირონ და გადარჩენილ ფულით სხვა ალაგას დააარსონ სკოლები. სამრევლო სკოლებს, როგორც ცნობილია, ისედაც მცირე რამ ეძლევა ხაზინიდან, ამბობს „ცნ. ფურც.",—და ამ მცირეს მოკლება ხომ სასიკეთო არ იქნება.

✦ ჩვენ მოგვივიდა ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით დაბეჭდილი ანგარიში იმ კომიტეტისა, რომელიც დახმარებას უწევდა მიწის-ძვრისაგან დაზარალებულ მცხოვრებთ ახალქალაქის მაზრაში. მთავარ კომიტეტის თავმჯდომარედ გუბერნატორი იყო, ხოლო ადგილობრივი კომიტეტიც არსებობდა, ლ. ზისერმანის თავმჯდომარეობით. დახმარება ეძლეოდა ხალხს ნივთიერად და ფულად. კომიტეტს შეუგროვებია შემოწირულობა ფულად 248.807 მ. 18 კ. და ეს ფული სულ მოუხმარებია დაზარალებულთათვის. ანგარიშში ვრცლად არის აწერილი მოქმედება კომიტეტისა.

✦ 31 ივლისს, საღამოს, ტფილისში მოულოდნელად საშინელი ჭექა-ქუხილი ასტყდა; ამ დროს თურმე მეხი ჩამოვარდნილა რიყის უბანში, დასცემია თავლასა და ერთი ცხენი მოუკლავს.

## ჩვენებური ამბები

**სამეგრელო** (სენაკის მაზრა). საზოგადოდ ბევრი ჩივილი და გოდება გაისმის ჩვენს სამშობლოში და სხვაგანაც ქართველების დაკნინებასა და უკულტურობაზე. მაგრამ უკულტურობით და უვიცობით ყველა ჩვენს კუთხეებს დალოცვილმა სამეგრელომ გადააჭარბა. თუმცა ხშირად გაისმის ისიც, რომ სწავლა-განათლების საქმეში იმერთ გაუსწრეს ამერლებს და იმერეთშიაც პირველი ადგილი გურიას და სამეგრელოს ეკუთვნისო.—გურიისა რა მოგახსენოთ და სამეგრელოს შესახებ-კი ეს არ ითქმის მით უფრო, რომ მეგრელი არ არის მოკლებული ნიჭსა და მეჟაითობას, საქმიანობის უნარს და სიყვარულს. მაგრამ დაივლით რამოდენიმე სოფელს და დიდგენის ფანრითაც რომ ეძებოთ ვერ იხილავთ წერა-კითხვის მცოდნეს, სკოლას, სამკითხველოს და მის მსგავსს დაწესებულებას. ეკონომიურად დაქვეითებული მხარე, დღითი დღე გონებითადაც ქვეითდება, იხრწნება და დაკნინებული საშინელის სისწრაფით თავ-

ძაღმართისკენ მიექანება. რამ გამოიწვია მერე ეს, თუ-კი ხალხი შრომის მოყვარეც არის და ნიჭიერიც? იკითხავს ცნობის-მოყვარე მკითხველი. ეკონომიურმა დაქვეითებამ. სამეგრელოს ერთად-ერთი მასაზრდოებელი წყარო სიმინდი იყო, რომელზედაც მიმართული მეგრელთა წარმოების ძალ-ღონე. სიმინდი მოჰყავდა მეგრელს თავის ნოყიერს მიწაზე. სხვა ნამუშევარს სამეგრელოში იშვიათად შეხვდებით. როგორც მოგეხსენებათ, ამერიკის კონკურენციით ჩვენმა ნაწარმოებმა დაჰკარგა ბაზარი და უწინ თუ ოთხ აბაზად და სამ აბაზად იყიდებოდა, ეხლა ორი აბაზი გახდა და იშვიათად ათი შაური, ისიც თუ მისამხრობ ადგილს არის მიტანილი. შიდა სამეგრელოში შეცხოვრებთათვის ხომ მოტანადაც არა ღირს· ყველა ამას ზედ დაერთო მოსავლის სინაკლულე (მიწა იმის ნახევარსაც აღარ იძლევა, რასაც 10—15 წლის წინად იძლეოდა). და ის განახევრებული მოსავალიც, რომელიც წონა ოფლად უჯდება საწყალ მუშას, ზაფხულამდის ვერ აწევს, ფუჭდება, ჰეპლად გამოდის და არა თუ გასასყიდად შინ სახმარადაც ვერ გამოუყენებია.

თავად-აზნაურობა ხომ არსად არ არის ისე ეკონომიურად დაქვეითებული როგორც აქ. ჯერ ყველა ეს ჩამოთვლილი სენი, რომელიც მუშას ცხოვრებას უმწარებს, მასაც მავნე წურბელად მიჰკრობია და გარდა ამისა ძველ ვალებშით არის დატვირთული, იმ წვა-დაგვით გამოვლილი წლების, როდესაც დაკარგულ ღირსებას, არხივებში დ გეროლდიაში დაეძებდა. ხშირად და ძალიან ხშირადაც არა თუ დაბალ საზოგადოებაში კეთილშობილთა წრეშიაც შეხვდებით ისეთს მაგალითს, რომ წლითი-წლობამდის ვერ ჭვებება სარჩო.

ასეთს ეკონომიურს შევიწროებას იგი უკიდურესობამდის მიუყვანია და თავმოყვარეობის ერთგული მოდარაჯე ათას უსართებულო და ბინძურს საქციელსაც კი ჰკადრულობს, მაგრამ ტრადიციული ცრუ შეხედულება, ძვალ რბილში აქვს გამჯდარი ღირსებაზე, მაინც არ დაჰკარგვია, არ დავიწყებია და ზიზღით შესცქერის იმ პატიოსნურს შრომას და ათას წილად ქურდობას და სხვა ავკაცობას ირჩევს, ვინემ ოფლით თავის რჩენას.

მესამე წოდება—ვაჭარები უფრო უზრუნველ უოფილია შედარებით. ვაჭრობაში მეგრელი მარჯვეა და მოხერხებული, გამბედავი და ანგარიშიანი, ამიტომაც ძვირად რამ მეგრელმა ვაჭრებმა თავის ახლო-მახლო სხვა უცხო ტომა აბოგინოს. ძვირადაც შეხვდებით აქაურ დაბებში უცხო ტომის ვაჭრებს, მხოლოდ აქა-იქ ურიები დარჩენილან, რომელნიც გარდა სარწმუნოებისა, ბევრით არაფრით განირჩევიან მეგრელებისგან, მაგრამ ისინიც ვერ მორიგებიან მათთან ბრძოლას, ერთად შეკრებილან და ერთ ადგილას გამაგრებულან, როგორც მაგალითად სუჯუნაში და ურიათკარში (ბანძაში). აქაური ურიები მხოლოდ ფირთლეულობით, საწვრილმანოთი ვაჭრობენ. მეგრელი ვაჭარი საშინელი მომჭირნე კაცია, ფულის მოყვარული, მოკლებული მოქალაქობრივს გრძნობას. ძვირად შეხვდებით მათში საზოგადოების და საზოგადო საქმის გულშემატკივარს, თუ რაიმე თავის სარგებლობას არ გამოელის.

ჟურნალ-გაზეთებს—ამ გონების საზრდოს ხომ თვალითაც ვერ ნახავთ, არა თუ აქ, ფოთშიაც იშვიათად ნახავთ გაზეთით ხელში კაცს. ასე დაქვეითებულია გონებრივად და ეკონომიურად სამეგრელოს მკვიდრი (რასაკვირველია, მე იმ მაზრას უფრო ვეხები, რომელსაც კარგად ვიცნობ, მაგრამ, ჩემის აზრით, სხვაგანაც იგივეა, თუ არ უარესი).

ამ ეკონომიურმა დაქვეითებამ ძირს დასცა გონებითი განვითარება, განდევნა მისი საკითხები და წინ დააყენა კუჭის საკითხი საზოგადოება დაკნინდა და დაწვრილმანდა; იგი მოკლებულია სად გონების მართლმსაჯულობასა, დაიბადა შუღლი, მტრობა წოდებათა შორის. აზნაურები თავადებს მტრობენ, გლეხებს ქედ-მაღლურად დასცქერიან. თავადები აზნაურებს ურისხდებიან, გლეხებს-კი ზიზღით უყურებენ; გლეხებს-კი არც ერთი არ ეპიტნავება და ორივეს მტრულის თვალით უყურებს. საუბედუროდ დაქუცმაცების პროცესი აქაც არ გაჩერდა, თორემ ამას ვინძა იხეირებს. თვითოეული წოდების წევრი პირადულმა ანგარებამ ჩაჰნთქა და ერთმანეთს ფეხით სთელენ, ოღონდ თავისი საპირადო ინტერესი აასრულონ. ასეთს საზოგადოებრივ წეს-წყობილებაში რა საზოგადო საქმე უნდა გაკეთდეს, რა მადამო უნდა მომზადდეს საზოგადო წუდულისთვის. ამის გათვალისწინება მე მგონია ძნელია და კიდეც ეს არის მიზეზი, რომ ძირ ძირს იწევს საზოგადოების ეკონომიურ-გონებრივი ბარომეტრი.

მთელს მაზრას ერთი სამკითხველო არ მოეძევება, ერთი სახალხო სკოლა, თუ არ მივიღებთ სახეში სამინისტრო სკოლებს, რომლებსაც არავითარი სარგებლობა არ მოაქვს და გლეხი ბავშვს მაშინ გზავნის, როდესაც მოცლილია და არავითარი საქმე არა აქვს მისთვის.—რაისთვის მოვაცდინო, ბატონო, ის არა სჯობია აქვე მომეხმაროს მუშაობაში ვიდრე იქ უქმად დრო დაჰკარგოს,—მომიგო ერთმა გლეხმა, როდესაც შევეკითხე რათ აცდენ ბავშვს სწავლას მეთქი. ბევრია იქ სწავლა დასრულებულიც, მაგრამ ერთ მკითხველის ბარათსაც ვერ დაგიწერს, არა თუ არხას, და რის მაქნისია იმათი სწავლა, თუ კი შინ არაფერი წამოუვებათ.—მე რაღასთვის მიაბარე შენი ბავშვი იქ, თუ-კი არ მოგწონს იქაური სწავლა?—კვლავ ვკითხე გლეხს.—რა ვქნა ბატონო; ფულს ხომ მაინც მახდევინებენ და ბარემ იარონ, რას იზამ, ჩვენთვის რადის ყოფილა სამართალი, რომ დღეს გაგვიჩინონ,—მიპასუხა გულ-მოკლულად გლეხმა. კარგი იქნებოდა ამ ჩვენს უბედურ მდგომარეობას მიაქცევდეს ყურადღებას წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა და დაგვიარსებდეს სამკითხველოს სადმე საშვალო და მოხერხებულს ადგილს თავის ხარჯით, სანამ თვითცნობიერება გაიღვიძებს ხალხში, მერე-კი თვით უპატრონებს თავის თავს.

გამიგონია,—ქიმი სნეულთათვის არის საჭიროვო—და ჰა, ქიმო, სნეულდიც.

რაჟდ. გ.—ია

—

**დ. თიანეთი.** როგორც მოგეხსენებათ, მდებარეობით და ჰავით თიანეთს ბევრი სოფელი ვერ შეედრება. გაშენებულია მდინარე იორის ნაპირზედ და გარშემო ვრცელი და სწორე მინდორი აქვს შემორტყმული. აქ მეტად წმინდა ჰავაა, თითქმის ყველგან ამოჩუხჩუხებს მშვენიერი და წმინდა წყაროები. ზაფხულობით ბევრი ხალხი მოდის საგარაკოდ. თიანეთს რომ ამაღლებულ ადგილიდან დაჰხედოთ, სწორედ მშვენიერი დასანახავი რამ არის გარეგნობით, მაგრამ ეს მისი გარეგანი სილამაზე არ ეთანხმება შიგ მცხოვრებ ხალხის შინაურ მდგომარეობას. სულ ყველაფრით დაქვეითებულნი არიან, როგორც ქონებით, აგრეთვე გონებითაც.

წრევანდელ ზაფხულს აქეთ ვერაფერი სიხარული მოაქვს მცხოვრებთათვის. ეს ორი თვეა, რაც მუდამ დღე, უფრო კი შუადღის შემდეგ, გამუდმებით სწვიმს. ცუდმა ამინდებმა ნება არ მისცა ხალხს, რომ გუთნები შეებათ და ჭირნახულის იმედი სრულიად დაეკარგათ. თიანელებს კარგ მოსავლიან წელიწადშიც არ მოსდით ყველას საკმარი სარჩო და თითქმის ნახევარზედ მეტი ნასყიდის ჭირნახულით ირჩენს თავს. საზოგადოდ თიანელებს სახნავი მიწები ძალიან ნაკლებადა აქვთ.

დ. გოჯიაშვილი

—

პეტერბურგიდან ამბავი მოვიდა, რომ რეალური გიმნაზია, რომელიც სოხუმში მომავალ ენკენისთვეს უნდა დაარსებულიყო, მხოლოდ 1904 წლის ენკენისთვეში დაარსდება.

—

პირველ სეკდემბრიდგან ქუთაისში თ. გ. მაჭავარიანის მიერ დაარსებული იქნება ქალთა კერძო სასწავლებელი ოთხკლასიან პროგიმნაზიის კურსით. სწავლის ფასი წელიწადში 30 მანეთია.

—

**ს. ქვემო ჭალა** (გორის მაზრა). ჩვენი ინტელიგენცია სოფლად დღითი დღე უფრო მხნეობას და გამჭრიახობას იჩენს. წავიდა ის დრო, როცა სოფელი და სოფლელნი თითქმის აბუჩად იყვნენ აღებულნი, როცა სოფლელთა გონება-განვითარების საქმეს სულ მცირე ყურადღებას აქცევდნენ. ამჟამად ჯერ კიდევ ის მცირე ნაწილი ჩვენის ინტელიგენციისა, რომელიც სოფლად დაბინავებულია, დიდის ყურადღებით ექცევა სოფლელთა გონებრივად განვითარების საქმეს და ყოველგვარ კანონიერ ღონისძიებას ხმარობს, ხელი შეუწყოს სოფლელთა გონებრივ და ქონებრივ წარმატებას. სოფლელთა გათვითცნობიერება, რომელთა გონებრივისა და ქონებრივის მხრით წინ ფეხის გადადგმა მძლავრი იარაღია საზოგადო კეთილდღეობისა, საზოგადო პროგრესისა. ქება და დიდება მათ ღვაწლს, ვინც კი ასე თუ ისე ხელს უწყობს ამ კეთილ-დღეობის დამყარებს, ვინც თავის შრომით, სიტყვით ანუ საქმით, ემსახურება ამ საზოგადო პროგრესის დაახლოების საქმეს. ჩვენი სოფელი ჯერ კიდევ წყვდიადითაა მოცული, ჩვენი სოფელი ჯერ კიდევ უმწეოა, ჩვენს სოფელს ჯერ კიდევ განათლების მძლავრი შუქი ოდნავაც არ მინათებია, და ვინც კი ამ ჟამად უმწეო სოფელს ამგვარ მძლავრის სხივებით მოჰფენს, სოფლის ჭეშმარიტი მოკეთე და მეგობარიც იგია. თუ ამ ჟამად სოფლის საკეთილდღეოდ ჩვენს ინტელიგენტებს რაიმე ღვაწლი და სამსახური მიუძღვის, გულწრფელად უნდა აღვიაროთ, რომ მათ შორის ქვემო ჭალის ადგილობრივ ინტელიგენციას ერთი თვალსაჩინო ადგილთაგანი უჭირავს. სოფლელთა გონებრივად და ქონებრივად წინ-სვლა და წარმატება—აი უმთავრესი დევიზი, უმთავრესი მისწრაფება ადგილობრივ ინტელიგენციისა, რომელსაც ხალხის სამსახური თავის სამღვთო მოვალეობად მიუჩნევია და შრომობს დაუღალავად, მიუხედავად ათასნაირ სხვა-და-სხვა დაბრკოლებათა! ადგილობრივ ინტელიგენციას ნათლად გაუთვალისწინებია, რომ ხალხის გონებრივი განვითარება უძლავრესი საფუძველია ყოველგვარ განვითარებისა, და უპირველესად ყოვლისა ამ მხრივ მოუმართავს თავისი მოღვაწეობის ასპარეზი.

## რუსეთი

განუზრახავთ სახელმწიფო საერო ბანკის დაარსება იმ აზრით, რომ ამ ბანკმა სესხად აძლიოს ფული ერობისა და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა შუამავლობით საკოოპერაციო ამხანაგობათა და მათს კავშირს, აგრეთვე ცალკე შინამრეწველთ. საცა ერობა არ არის, იქ შეიძლება სესხი აიღოს მსურველმა სოფლის საზოგადოების შუამავლობით. სესხი მიეცემა აგრეთვე ერობათა და საერობო საშინამრეწველო ბანკებს. ერობა თავის ნებაზე მოიხმარს აღებულს ფულს და მისცემს სესხად, როგორც ამა თუ იმ ცალკე დაწესებულებას, აგრეთვე ყოველგვარ მშრომელ ამხანაგობასა, ცალკე შინამრეწველს და მიწად-მოქმედს.

— გზათა სამინისტროს გადაუდევია რკინის გზათათვის $2\frac{1}{2}$ მილიონი მანათი, იმიტომ რომ გაფართოვებულ იქმნას შენობანი სადგურთა, რათა ამ სადგურებზე არ ფუჭდებოდეს ჭირნახული იმ დროს, როცა ეს ჭირნახული უცდის რიგს, ვიდრე დანიშნულებისამებრ გაიგზავნებოდეს.

— მოსკოვის ქალაქის ქონება უძრავი და მოძრავი ჰღირს თურმე ამ ჟამად $90\frac{1}{2}$ მილიონი მანათი.

— მოსკოვის გუბერნიაში გაყიდულა 1902 წლის განმავლობაში 4 მილიონამდე ვედრო არაყი, თითქმის 30 მილიონის მანათისა.

— მისაღები ეგზამენები მოსკოვის დრამატიულ კურსებზე, რომელიც „სამხატვრობო“ თეატრს აქვს გამართული, იქნება 12, 14 და 16 ავგისტოს. სულ ვაკანსიები ქალებისა და კაცებისათვის 11-ია. კურსებზე მსმენელთაგან სასყიდელს არ იღებენ.

— მარმარილოს სასახლეში ბავშვთათვის გამართულ კურსების ხელმძღვანელ ქალთა და კაცთა ნება მიეცათ უსასყიდლოდ იარონ პეტერბურგსა და მოსკოვს შორის. კურსები გამართულია სასოფლო-მეურნეობისა, ხელოვნებისა და მრეწველობის შესასწავლად ყმაწვილების მიერ.

## უცხოეთი

**სერბია.** სერბიის თავისუფალ დასის უმთავრესი ორგანო „სრპსკა ზასტავა“-ში სწერია:

„ბოსნიის გაუქმებულ ტახტზე ისევ „ბოსნიის მეფის“ კალაის ღირსეული მემკვიდრე ავიდა: ბარონ ბურიანმა—შთამომავლობით მადიარია, ზნე-ხასიათით ავსტრიელი, მთელის წარსულ მოღვაწეობით სამაგალითო მოწაფე ვენის დიპლომატიურ სკოლისა, რომლის დევიზია „divide et impera“ (დაანაწილე და იუფლე)—ხელთ იპყრა კვერთხი „ბოსნიის სამეფოისა“ და ამ დღეებში კიდეც მიბრძანდება თავის სატახტო ქალაქად, სადაც დაუხვდება ტანჯულ-წამებული და გაღატაკებული ხალხი, რომელიც ოცდა ხუთ წლის განმავლობაში ჰკვნესოდა და ჰგმინავდა აუტანელ მტარვალობის ქვეშ.

„უნუგეშო მდგომარეობა სერბიის ხალხისა ოდნავაც არ გაუმჯობესდება „ახალ მეფის“ მობრძანებით ბარონ ბურიანი ბოსნია-ჰერცეგოვინას ზეთის ხილის რტოთი და საბრალო ხალხისადმი გულითად სიყვარულით გამსჭვალული როდი მიდის. იმას არ მიაქვს თან ბოსნიელებისათვის არავითარი სიკეთე, და, აბა, რასღა უნდა მოელოდნენ იგინი ახალ ბრძანებელისაგან. ბურიანი, რასაკვირველია, დაადგება მის წინამოადგილეთაგან ერთხელვე გაკვლეულს გზასა და სრულიად დაუბრკოლებლივ შეუდგება თავის მთავრობის გეგმის განხორციელებას.

„მოხელეთა გამოცვლა, რამდენიც გნებავთ, იმდენი შეიძლება, მაგრამ ავსტრიის პოლიტიკისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს პიროვნებას. სისტემა ისევ ძველი რჩება, რადგან ვერავინ გაჰბედავს ერთხელვე არჩეულ გზას გადაუხვიოს. სისტემა, რომელსაც ადგენან ამ 25 წლის განმავლობაში შემოერთებულ პროვინციების გამგენი, (რომელთაც სრულიად დასცეს ფინანსიურად და ეკონომიურად ბოსნია-ჰერცეგოვინას მკვიდრნი სერბნი), მომავალშიაც უცვლელად იქმნება დაცული. მხოლოდ მაშინ, როცა ხალხი იძულებული გახდება მთხოვრის გუდა

# ფელეტონი

## შურდული

(საკვირაო გაზეთი)

XVII

გამოცანები.

ის, რაც კაცსა კაცათა ჰქმნის,
დღეს შეიქმნა ჩვენში ფუჭი..,
და საერთო მცნებად იქცა
დამღუპავი ჩვენი კუჭი...

I

აი თუნდა, აიღეთ ის,
ვინც შავ-ქვისკენ გაიპარა,
ვინც ფულის ზრდას შეალია
მთელი ღონე, მთელი ძალა...
ოდესღაც-კი ქვეყნისათვის
სძგერდა მისი სული, გული..
განა ღირსი არ არის, რომ
ვსტყორცნოთ იმას ჩვენ შურდული?!

II

აი კიდევ, ახალ დროის
შვილი არის, მარად კოხტა...
ერთხელ ისიც პოეტობდა
და, იცოცხლეთ, ბევრიც მოხვდა...
მოხვდა მიტომ, რომ ქვეყნისთვის
იგი არ ღირს არცა ფლური...
განა ცუდი იქნება, რომ
მასაც ვესროლოთ შურდული?!

III

აგერ კიდევ!.. უცხო მხრიდამ
ჩამობძანდა, მოგვევლინა...
ჭორის გუდით მოგზაურმა
ვერ იპოვნა ვერსად ბინა...
ბოლოს პარნასს მიაშურა...
კარი დახვდა დახურული..,
ახი არის, თუ მოხვდება
იმ ქარიანს ეს შურდული...

IV

ერთიც ვიცი.-. ლიბერალობს
ჰსურს დასკუპდეს ორს სკამს შუა...
ცრუპენტელამ „მოძმე“ ერი
ხშირათ ხოლმე მოგვატყუა...
მაგრამ მივხვდით, საცა არის
ჩვენთვის მახე გამართული..,
ისა სჯობს, რომ ამ „მოძმეებს“
ვკრათ მაგარი ჩვენ შურდული!..

V

აი ერთიც,.. ფარისეველს
სურს, რომ გვასვას მუდამ შხამი...
მაგრამ ღალატს დაუფასებს,
ვით წესია, დრო და ჟამი...
ჯერ-კი, დეე, სხვას ემონოს,
სხვას უკეთოს მან ზურგული...
ამისთვის-კი, სწორე გითხრათ,
მენანება თვით შურდული!..

ქოხო.

—

## მოცლილი კაცის დღიური

I

1 მარიამობისთვე

პირველი დღე ყველა თვისა ნავსიაო, იტყვიან ჩვენში, მოტყუების დღედ მიაჩნიათ.. ძიელ მატყუარას ხომ მარტ აპრილიჩს ეძახიან, მაგრამ ამ მარტ აპრილიჩზე კვლავ ჩამოგიგდებთ სიტყვასა..

ნეტა თუ იცნობთ ერასტ კუპჭუს ძეს ზვავაძეს!.. არ იცნობთ?.. მე კი ვიცნობ... ვიცნობ, ღმერთს გეფიცებით, ვიცნობ. პირველ თვით რომ დავიწყე ეს დღიური, არ გეგონოთ, გატყუებდეთ. ნამდვილს სურათს გადმოგცემთ ზვავაძისას.

იმ დღეს „გოლოვინზე“ შემხვდა, „უკანასკნელ“ მოდაზე გამოწკეპილიყო. წაღები?. ოჰ! ის წყეული წაღები!! მთელი „გოლოვინი“ მის წაღებს უცქეროდა: ერთი რაღაც წოწლოკინა, წვერი სწორედ ბატის ნისკარტივით გაბრტყელებული; ჩაღილულ-ჩახლართული... სწორედ „რიჟა“ კლოუნს აცვია ხოლმე ამ ნაირი ერთ ალაბიანი წაღები.

პაწია შავი წვერი მხოლოდ ნიკაპზედ შაერჩინა და ისე მისტკუცვოდა, თითქო მერცხალი ჩაუყლაპავს და მისი ბოლო ნიკაპს დასწებებიაო.

ხელში ლამაზი შავი ჯოხი, იღლიაში კოხტა პორტფელი; მოდიოდა ამაყად, დირბულ ბატივით გაბერილი, თვალები დაგუდული ჰქონდა: სიბრძნე ყელში მოსჩროდა, სისხლი ზემოდ აწვებოდა და მიტომ იყო, რომ თვალები დაჰგუდოდა.

გორში რომ ენახათ ეს გაბერილი ფილოსოფოსი, მაშინვე კილს გამოაბამდნენ: ვა, ეს რა ახალი მატრაბაზი გაჩენილაო! კნიაზჯან, ნელა იარე, შარვალზე ფეხი არ დაიდგაო“.

სოფლად რომ ენახათ, იტყოდნენ: „ნეტავი პირჯვარი დასწერა და ჩემი ლიზიკოს ქრმად მაჩვენაო“.

ხონში კი იტყოდნენ: „იმე, იმე! რავა იბერები, შე უბადრუკო, უხეირო სტვირის გუდასავით!!. შენისთანა გაყვინჩულები იმდენია ქუთაისის ბულვარზედ, შენ ნუ მოუკვტე ჩემს თავს, რავარც ზღვაში ქვიშა, ცაში ვარსკვლავენი... ჩაიარე, ჩაიარე, რო ამოვლილი აღარ გნახე-ო!“.

მაგრამ ტფილისში-კი. . ჰმ!... ტფილისში კი... პატარა კაცი ნუ გგონიათ!.. არა, უკაცრავად, ნათლად ვერ გამოვთქვი ჩემი აზრი: ტფილისში-კი ერასტ კუპჭუს ძე ზვავაზე კაცუნაზე კაცუნაა... ესეც ღმერთს გაუჩენია, მატლივით ესეც დაცოცავს ამ ცოდვილს ქვეყანაზე.. მაგრამ თვის საკუთარს თვალში-კი იგი ფილოსოფოსია, დღეს თუ ხვალ თვისსავე სიბრძნეში ჩაიხრჩობა.. სიბრძნეს დღემდე ხომ არავინ დაურჩვია... მაგრამ აი დღეს იგი დაიხრჩობა და, იმედია, სპირტში შეინახავენ.

— ვაჰ, ვაჰ! ვინ არის ეს კოპწია ახალგაზდა, იკითხეს.

— სწორედ ახლად გამოჩეკილი „ჩინოვნიკ ოსობის პორუჩენიე“—თუა!

— არა, ადვოკატია.

— პოეტს უფრო მიაგავს..

— შენ დამენაძლევე, ეგ მზითვიანს ქალს ეძებდეს.

— არ მომიკვდე, ეგ უთუოდ ჟულიკია.

— ოტსტავნოი ლიტერატორი თუა...

— ფხუ! კაცო, ლიტერატორი და ეგრე კოხტად გამოწკეპილი!

ასე ახასიათებდნენ მოცლილი, პირაღია ბულვარის მტკეპნელნი.

მაინც ვინ არის ეგ ბატონი ზვავაძე?— იკითხამს გაოცებული მკითხველი.

— არ-რის მცოდნე, არ-რის მქონე, მხოლოდ დიდი მუზმუზელა.

ი. ე—ძე

—

## ტფილისი.

— პარიჟის მერს საგანგებო კაცი გამოუგზავნია ტფილისსა და ქუთაისში, რათა გაიგოს, შეისწავლოს, თუ როგორ ახერხებენ აქაური ქალაქის მამები, რომ ქუჩები კისერ-სატეხი ქვებით არის დაფენილი, აუარებელი მტვერია, ზღაპრული სიბინძურე და ათასი ვაი-უშველებელიო. საბჭოებს მდივნებისთვის მიუნდვიათ, მზა მასალა მიაწოდონ პარიჟის წარმომადგენელს და მალე მოიშორონ თავიდამა.

— ექიმს ხატისიანცს ახალი სამეცნიერო თხზულება დაუწერია გა— ცის წინასიტყვაობით. სათაური „ქართველთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“. თურმე თვალსაჩინოდ ამტკიცებს, რომ წარწერებს თვით ქართველი მეცნიერნი შლიან და სომეხთ აწერენო. ყველა ეს სიზმარში თურმე უნახამს და წიგნად შეუდგენია.

— როგორც გაზეთებით შევიტყეთ ტფილისის ქალაქის თვითმმართველობის წევრს კოკჩაევს ვრცელი მოხსენება წარუდგენია გამგეობისთვის პურის სახლობის გახსნის შესახებ და თანაც დაუმატებია მოხსენებაში: ხორცი და პური ხომ გვაქვსო, ურიგო არ იქნება ზედ ღვინო დავაყოლოთო, ამის გამო ვურჩევ გამგეობას სთხოვოს რომელსამე მეღვინე ხმოსანს, რათა თავისი აზრი გაგვიზიაროს დ წარმოგვიდგინოს ამ საქმის შესახებ ვრცელი მოხსენებაო. ჩვენ ჩვენი მხრითაც მოგვწონს ეს აზრი და ერთი ხილეულის დუქანიც რომ გახსნას ქალაქის გამგეობამ, ურიგო არ იქნება: პურსა, ხორცსა დ ღვინოს „დესერტიც“ მოუხდება.

—

## ჩვენებური ამბები

გორული ამბები. (ჭორები-კი არიფიქროთ).

(საკუთარის კორესპონდენტებისაგან)

გორელები სჩივიან, გასართობი არა გვაქვს-რაო. ამიტომ გორის ქალაქის გამგეობას მოუწვევია ბაყაყთა გუნდი, რო-

მოიკიდოს და სოფელ-სოფელ სამოწყალოდ დაიწყოს თრევა, როცა ყველა სერბნი ბოსნიისა და ჰერცეგოვინისა გარდაიქცევიან მონებად, რომელთაც ლუკმა პურიც-კი აღარ ექმნებათ, შესაძლო იქნება იურიდიულად შემოერთება ბოსნია-ჰერცეგოვინისა, რაიცა ამ ჟამად მხოლოდ ფაქტიურადაა.

„ამის მისაღწევად ახალმა გამგემ უნდა განაგრძოს თავის წინამოადგილის პოლიტიკა. როგორც კალაის დროს, ისე ეხლაც, ბოსნიელ-ჰერცოგოვინელნი ვერ დააღწევენ თავის უმწეო მდგომარეობას; ეს დამონებული ხალხი ვერ ეღირსება ვერავითარ უფლებას“...

დასასრულ გაზეთი ამბობს,—ერთი ქირი მარგებელიაო“ და იმედოვნებს, რომ სწორედ ეს უმაგალითო შევიწროვება დასასრულ იმ ზომამდე მიიყვანს ბოსნიისა და ჰერცეგოვინას მკვიდრთ, რომ სასოწარკვეთილი ხალხი ხმას აიმაღლებს და თავ-აღებული განაცხადებს—ჩვენც ადამიანნი ვართო.

**საფრანგეთი.** ემბერთა წყვდიადით მოცულს საქმეს სინათლე ეფინება. გაზ. „მატენ“-ში მოყვანილია ცნობა იმ გამოაშკარავებულ ამბავთა შესახებ, რომელთა შემწეობითაც ტერეზა ემბერი მოპირდაპირეთ დამხობას უქადდა. საქმე აშკარავდება სხვა-და-სხვა საბუთებისა და წერილების წყალობით, რომლებიც პატარ-პატარად არის დაყოფილი და შეკრული; თვითოეულ ამ ნაწერის ნაწილს ზედა აქვს წარწერილი გვარი და სახელი იმისი, ვისაც ნაწერები შეეხება.

გაზ. „მატენ“-მა ჯერ-ჯერობით გამოაქვეყნა გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფ ემილ ფლურანსისა და მის მეუღლის წერილები ტერეზა ემბერისადმი. ფლურანსი იყო მინისტრად 1886 წელს, თავის წერილებში იგი ამტკიცებს,—საფრანგეთ-რუსეთის კავშირის მოთავე მე ვარ და რუსეთის სასახლეშიც ისე ვარ მიღებული, ვით „persona grata“-ო. ამ ჟამად იგი დეპუტატ ნაციონალისტთა და გაზ. „პატრი“-ს და მის მზგავს გაზეთების ქადაგია უცხოეთის პოლიტიკის შესახებ.

1892 წ. ფლურანსი სწერს ტერეზა ემბერსა და სთხოვს შეაგროვოს ფული სეტყვისაგან დაზარალებულ მის ამომრჩეველთათვის. შემდეგ წელს იგი სთხოვს ფულს საარჩევნო ოლქში დაარსებულ გაზეთისათვის. 1895 წ. დიდის სინანულით იხსენიებს გაზ. „ლიბრ. პაროლ“-ის მიერ გამოთქმულ აზრებს ტერეზა ემბერის შესახებ. თვალყურს ადევნებს ამ მტრულ მითქმა-მოთქმას და რამდენისამე ხნის შემდეგ იუწყება,—ეს ყოველივე მოსამართლეთა შეთქმულობაა ტერეზას მოწინაალმდეგეთა სასარგებლოთაო.

1896 წელს ტერეზასთან მიწერილ ბარათებში ფლურანსები დიდს იმედებს ამყარებენ ტერეზას გულკეთილობაზედ და ისეთნაირად ელაქუცებიან, რომ ცხადია იმ დროს დიდს გაჭირვებაში უნდა ყოფილიყვნენ. „ღირსეულის კაცისა და მის ოჯახობის განსაცდელისაგან დახსნა, აი, ის ფრიად კეთილი და შეუდარებელი საქციელი, რომლის ხსოვნაც სამუდამოდ დაგაჯილდოვებთ თქვენ მრავალ მწარე წუთებისათვისაო“,—სწერს ერთ უკანასკნელ ბარათში ფლურანსი.

## ნარკვევი

„Рус. Богат.“-ში საინტერესო წერილია ა. პეშეხონოვისა იმის შესახებ, —თუ რა გავლენა აქვს რკინის-გზების საქმეს რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტზედ. ავტორი ამტკიცებს, რომ ყოველსავე ექვ გარეშე ის საფრთხე, რომელიც მოელის სახელმწიფო ფინანსებს რკინისგზის ხარჯებისაგანაო. პეშეხონოვის აზრით, სამწუხარო ის არის, რომ კრიზისი მარტო ფინანსებისთვის არ არის საშიში.

დეფიციტი სახელმწიფო ბიუჯეტში არ არის მაინცა და მაინც საშიში. თუ ქვეყანა სავსეა ძალ-ღონით, საქმათა პატარა გაიშირვოს, რომ დეფიციტი თავიდგან მოიშოროს. ხანდახან ესეც არ არის საშიშრო. როცა ეკონომიური ცხოვრება წესიერად სწარმოებს, შემოსავლით დარღვეული თანასწორობა სახელმწიფო ბიუჯეტისა თავისით გამოკეთდება შემოსავლის ბუნებრივის ზრდით. ამგვარ ვითარებაში დეფიციტი არ შეაშფოთებს პოლიტიკის კაცს და შეარყევს ბანკირის ნდობას. გარნა სულ სხვა მდგომარეობაშია ამ ჟამად რუსეთი. მეცნიერნი კვამდი, რომელიც 2 მილიარდ ბიუჯეტის ერდოზედ გამობნდა, ჭმოწმობს, რომ საშიში დუდიდია ხალხის ნივთიერ ცხოვრების წიაღში.

ოფიციალურად დამტკიცებულია, რომ „ამ ჟამად ხალხი მეტის-მეტად დატვირთულია პირდაპირის და არა პირდაპირის ხარჯით“. ამას ამბობს თვით ფინანსთა სამინისტრო. ამიტომ გონივრული საფინანსო პოლიტიკა იმად უნდა იყოს მიმართული, რომ შეამსუბუქდეს ტვირთი ხარჯებისა. მაგრამ ვეჭვობთო, ამბობს ზემოხსენებული ავტორი,—რომ

ამ კეთილს განზრახვას ეღირსოს განხორციელდება. ჩინეთის ომის გამო ზოგიერთი ხარჯი მომატებულ იქმნა. აზრად ჰქონდათ, რომ ეს მომატება მხოლოდ ცოტას ხანს განგრძობილიყო. ომი დიდი ხანია გათავდა. ომის დანახარჯი ანაზღაურებულ იქმნა ჩინეთის სესხის განადდებით. ხოლო დროებით მომატება ხარჯებისა მაინც და მაინც დარჩა და, ალბად, კიდევ დიდხანს დარჩება და არ იქმნება გაუქმებული. 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვას რომ თვალი გადავავლოთ, დავინახავთ, რად გაჭიანურდა დროებით შემოღებული მომატება ხარჯისა. ჩვეულებრივი შემოსავალი წ. ნაჩვენებია ისე, რომ მხოლოდ 16 მილიონით სჭარბობს ჩვეულებრივ გასავალს, მაშასადამე, ხაზინას რომ გაუქმებინა მომატება ხარჯებისა, რომელიც აძლევს 39 მილიონს, წელსვე გასავალი აღემატებოდა შემოსავალს (39—16=23) 23 მილიონით. ცხადია, ამისთანა გარემოებაში ის დროებით მომატება ხარჯებისა არ შეიძლება გაუქმებულ იქმნას. ძნელია აგრეთვე საფინანსო უწყებისათვის სხვა ხარჯების შემცირება. პირ-იქით, უნდა მოველოდეთ, რომ პირველსავე გაჭირების დროს, ხაზინა იძულებული იქნება კვლავ მოუმატოს „დროებით“ ხარჯებსა და ბეგარას, თუნდა ეს მომატება პირდაპირ საზარალოც იყოს ქვეყნის ეკონომიურ კეთილ-დღეობისათვის. თავისუფალი ნაღდი ფული, რომელიც ქუჩდებოდა ამისთანა შავ დღისათვის, უკვე დახარჯა, რამდენი ხანია, და იმის შესავსებად ფულს იღებენ არა იქიდგან, რაც ბიუჯეტს გადარჩება ხოლმე, არამედ იქიდგან, რომ წინდაწინვე, დროზედვე სესხულობენ საჭირო ფულს.

—

საყურადღებო ცნობებს ატყობინებს კ. მაჭავარიანი „ჩერნ. ვ.“-ს სოხუმის ოლქის მამულების სიძვირის გამო. მექარხნემ ბ-ნმა ბოლდანოვმა იყიდა თავ. კოსტა ემუხვარისაგან 109 დეს. მიწა 21 ათას მან. და ესევე მიწა მიჰყიდა გრაფ მუსინ-პუშკინს 185 ათას მან.

ამიტომ, შეიტყო თუ არა თავ. კოსტა ემუხვარმა, რომ იმისი მამული გაუყიდნიათ ასეთ ფასად, დიდხანს ევედრა ვქიდს ბოლდანოვისას ბ-ნს კომინოსს, მოუმატებინათ რამ, მაგრამ ამაოდ, ვედარა მიიღორა. ახია! აფხაზები რას წარმოიდგენდნენ, რომ სოხუმის ოლქში ასეთ ფასად გაიყიდებოდა მიწები. ერთმა აქაურმა აზნაურმა გაჰყიდა ერთი თავისი საუკეთესო ნაჭერი მიწა ერთ ცხენად და თოხმადურ დამბაჩად. ამ ნაჭერ მიწაში დღეს იძლევიან რამდენსამე ათასს მან. მაგრამ რა გაუმტყუვნო საწყალი აფხაზები, როდესაც თვით თქვენს უმორჩილეს მონას მომივიდა შეუწყნარებელი შეცდომა. სხვების გასაფრთხილებლად საყურადღებოდ მიმაჩნია გიამბოთ ეს ამბავი: მე მომცეს თვით ქალაქში ერთი ნაჭერი საუკეთესო მიწა, ასე 2 დეს., ოდესღაც კუთვნილი გრაფ სტენბოკისა. შეველი მოვლობელობაში და დავიწყე მუშაობა, დავიწყე ხეობდის ჩიყრა, მაგრამ ვიგრძენ, რომ ხეობდის ჩიყრა გუბეების დაშრობა, გაწმენდა ბალა-ღელეებისა, ბარდნარებისა და ყარაულის ხარჯი არ ძალ-უძს ჩემისთანა თხელჯიბის პატრონ-მოხელეს. უცებ მოიფინა ქალაქში ხმა, მოვიდა ვიღაც ინჟინერი ანდრეევსკი დ ჭყიდულოის მიწებსაო. სრულიად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩემი მიწა გაიყიდებოდა 100 თუმანზე მეტად. მაგრამ რო არ მომიხვდნენ აზრსა მეთქი (ასე ვფიქრობდი მაშინ) დავაფასე ას ორმოცდა ათი თუმანი. პატარა ხნის ვაჭრობის შემდეგ, ბ-ნმა ანდრეევსკიმ ამოიღო ჩემმიერ დაფასებული ფული და მომცა სრულად. ეხლა-კი ბ-ნი ანდრეევსკი აფასებს ამ ჩემგან მიყიდულ მიწას და ჭყიდის თითქმის 100 ათას მან. მაგრამ არა, რას ვიფიქრებდით მე, თავადი კოსტა ემუხვარი და ან სხვა ჩვენ გვარნი, რომ როდისმე ჩვენი მიწები გაიყიდებოდა ასეთ დიდ ფასებში! ეჰ, რას ვიზამთ მე და ემუხვარი?! აღარა დაგვრჩენიარა დ უნდა ვინუგეშოთ იმით, რომ ჩვენ მიერ გაყიდულ მამულზე ვერასოდეს ვერ ავაშენებდით ისეთს შენობებს, როგორიც ააშენეს და ააშენებენ კიდევ მყიდველნი.

დიაღ, მართალსა ბძანებს ბ-ნი მაჭავარიანი:—კატა ძეხვს ვერ შესწვდა და სთქვა: დღეს პარასკევიაო.

## თეატრი და ხელოვნება

**ქვემო ჭალაში** თუმცა წინადაც იმართებოდა დრო გამოშვებით წარმოდგენები, მაგრამ ამ წარმოდგენებს სცენის უქონლობის გამო შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და ამიტომაც ეს წარმოდგენები ვერ იზიდავდა ხალხს. ადგილობრივ ინტელიგენციას წელს, კნეინა ალექსანდრა ივანეს ასულის ფალავანდიშვილისა და ბ-ნ გიორგი ჯანდიერის მეთაურობით, მიუწყვია ქვემო ჭალაში მშვენიერი მუდმივი სცენა, რომლის საშუალებითაც ახლა ადვილად შესაძლოა წარმოდგენების სისტემატიურად მართვა. სცენა იმ რიგადაა მოწყობილი, რომ სულ ადვილად შესაძლოა ერთის ადგილიდან მეორე ადგილას გადაიტანონ. ამნაირად, ქვემო ჭალის მუდმივი სცენა დიდს სამსახურს გაუწევს მახლობელ სოფლებსაც, საცა ადვილია სცენისა და ყოველივე სცენის მოწყობილობის გადატანა. ჭალის ინტელიგენციასაც სწორეთ ამგვარი განზრახვა აქვს და, თუ ამ ფრიად სასარგებლო განზრახვას მალე განახორციელებენ, მართლაც რომ დიდს სამსახურს გაუწევენ მახლობელ სოფელთა თვითცნობიერების გამტკიცების საქმეს. ახლად გამართულს სცენაზე ერთი წარმოდგენა უკვე გამართეს ჭალელებმა. წარსული მკათათვეს წარმოადგინეს „ჯერ დაიხოცნენ და მერე დაქორწილდნენ“ და „გაყრა“. მოთამაშენი, გარდა ბ-ნ გოცირიძისა, ყველანი ადგილობრივთაგანი იყვნენ. ხალხი ამ წარმოდგენას მრავალი დაესწრო.

შემოსავალი ცამეტ თუმანს აღემატებოდა. მეორე წარმოდგენა 3 მარიამობისთვეს გაიმართება. წარმოადგენენ „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და „არივ-დარია“. სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ გლეხობას სრულიად უფასოდ უთმობდნენ ალგილებს. წარმოდგენების გამართვაში მხურვალე მონაწილეობას იღებს ბ-ნი ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილი, რომელიც არც ხარჯსა და არც შრომას არ ერიდება, ოღონდაც ხალხს მიაწოდოს სცენის საშუალებით სულიერი საზრდო.

ჭეშმარიტად რომ დიდი საქმეა სოფ. ჭალისათვის მუდმივი სცენის დაარსება! ეს ფრიად სასარგებლო საქმე უეჭველად თავის დროზე შესაფერს ნაყოფს გამოიღებს და მისი სულის ჩამდგმელნი: კნეინა ალექსანდრა ივანეს ასული ფალავანდიშვილისა, ბ-ნი გიორგი ჯანდიერი და ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილი, თავიანთი უანგარო შრომით და მოღვაწეობით დიდს მადლობას დაიმსახურებენ. დიდი მადლობის ღირსნი არიან დანარჩენებიც, რომელნიც ამ საზოგადო საქმეს თანაუგრძნობენ დ შეძლებისადაგვარად დახმარებასაც უწევენ.

შემთხვევითი სტუმარი.

## წერილი
### რედაქციის მიმართ.

ბ-ი აჯიმამულოვი ჩვენგან ჯარჩეულ მოსამართლეს გვიწუნებს: დავაში ფაქტიურ მონაწილეობას იღებდაო. გვიკვირს და გაგვკვირვებია, რა მონაწილეობას იღებდნენ მ-შვილი ან სირ-ძე ჩვენ დავაში! თუ იმასა ბრძანებს აჯიმამულოვი რომ რომელიმე ამათგანი მის წინააღმდეგ მოქმედობდნენ ბიბლიოთეკის კრებების დროს, სამაგიეროდ ბ.ბ. ზარაფიშვილი და დანდუროვი ხომ დიდი მფარველები იყვნენ იმისი და მაშ რადა ეს პირები დაასახელა—ანკი რა მნიშვნელობა აქვს ჩემ ანუ აჯიმამულოვის მიმართ წინააღმდეგობას, თუ რომ იგი უსაბუთოა, და თუ საბუთიანია, ვის რა ეთქმის!

ბ-ნ აჯიმამულოვს თავის წერილებში რაღაც მოწინააღმდეგე „კომპანია“ აქვს დასახელებული. ვინც უნდა დავასახელოთ, იმან შეიძლება ამ „კომპანიაში“ ამოაყოფინოს თავი და უარჰყოს. მაგრამ ჩვენ არავითარ კომპანიასთან საქმე არა გვაქვს. ჩვენ გვინდა პირადი ანგარიშები გავწყვიტოთ ბ-ნ აჯიმამულოვს. ამიტომ ჩვენი მხარე ნიშნავს დროს, ექვს აგვისტოს. თუ ამ ხნამდის ბ-ნი აჯიმამულოვი არ მოისურვებს, რომ ჩვენ შორის სამართალი მოხდეს, უკვე დასახელებულ პირებისაგან, ჩვენ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ აჯიმამულოვი გაურბის სამართალს დ ჩვენი მხარეც საქმეს გათავებულად ჩასთვლის. ექვს აგვისტოდან ჩემგნით დასახელებული უმთავრესი მოსამართლე, როგორც აჯიმამულოვსაც მოსვლისთანავე გაცნობეთ, გაემგზავრება რუსეთს; თუ არა ვსცდებით, ბ-ხი დანდუროვიც ამ ხანებში სხვაგან გაემგზავრება და სამართალიც გედარ მოხდება. ამიტომ აჯიმამულოვმა რამდენიც უნდა სწეროს, ჩვენგან არავითარ პასუხს არ მიიღებს სადავო საქმის გამო, რადგან როგორც, ზემოთაც ვსთქვი, საქმე გათავებულად გვექნება ჩათვლილი, მით უმეტესად რომ საზოგადოება მობეზრდა და მოიღალა ამდენი უაყხით*).

ვლ. ედილაშვილი.

*) საჭიროდ ვსთვლით გამოვაცხადოთ, რომ ამას იქით აღარ დავუთმობთ ადგილს გაზეთში აღარც ერთს წერილს ამ დაუსრულებელ დავის შესახებ.

რედ.

მელიც მართავს კონცერტებს დიდ ქუჩაზედ. კონცერტები იწყობა საღამოს შვიდრვა საათზედ და თითქმის გათენებამდის გასტანს ხოლმე. (ზოგიერთი მათგანი დღეც ამბობს სოლოებს). სიმღერების მოსმენა მუქთია (მუქთი რამ ხომ ძალიან უყვართ გორელებს!)

— ამ დღეებში დაიწყებს გამოსვლას აქ ახალი გაზეთი „ჭორი“ დამატებით „გორელი მატრაბაზი“, ჭორების ადვილად და ჩქარა გასავრცელებლად. რედაქცია იმყოფება აქაურ კუდ-მოგლეჯილ ბაღში და რკინის გზის სადგურზედ, სადაც საჭორაო მასალა ბევრი იპოვება.

— მართლა, კინაღამ დამავიწყდა: ძველქუჩაზედ ტალახში დაიხრჩო ერთი მეურმე თავისი ურმით და კამეჩებით. დამხვრჩალთა გვამნი ჯერ ვერ უპოვიათ.

ნაცარ-ქექია.

—

**გორი.** ყველამ უწყის, რომ აქაური ქუჩები ძალიან უსუფთაო და მტვრიანია. ქარიან დღეში კაცს გარედ არ გამოესვლება; თუ ეტლმა გვერდზედ გაგიარა და სადმე დუქანში ან ეზოში დამალვა ვერ მოასწარ, სწორედ შესაბრალისი გახდები: ტანთსაცმელი მთლად მტვრით გაგითეთრდება, სულთქმა შეგეხუთება, თვალები აგებნევა და ვინ იცის ვის ან რომელს კედელს დაეტაკები. ამ უბედურობის ასაცილებლად გორელებს ერთი საშუალება მოუგონიათ: დაქირავებულ ბოჭკებით რწყვა ქუჩებისა ძვირად დაგვიჯდებაო; სიიაფისათვის ჰსურთ გორის ციხეზედ აიტანონ ცეცხლის ჩასაქრობი მანქანა და, რადგან ციხეზედ წყალი უკვე აყვანილია მილებით, იქიდგანა რწყონ ხოლმე მთელი ქალაქი. მანქანების შესაძენად ფულის შეგროვებას უკვე შესდგომიან. არ ვიცით, ამ მანქანით ქუჩების რწყვას როდის დაიწყებენ, მაგრამ თუ შემთხვევით გორში გვეწვიოთ, მაინც ციხისაკენ თვალი გეჭიროთ, რომ ქუჩების რწყვის დროს ძალიან არ დასველდეთ.

მართლა, იმ დღეს წარმოდგენა რომ გახლდათ გამართული სცენის მოსაწყობად, წარმოდგენის შემდეგ ნუნუათი ყელი ჩაუსველებიათ; ყელის გასველება სჯობიან სცენის მოწყობასაო! ქალაქის ქუჩები არ ირწყვის, მაგრამ აქაური სცენის მოყვარენი ყანყრატოსა რწყავენ. ბიჭობაც ამასა ჰქვიან!

ჩხირკედელა

—

**ხონი.** ხონში კაცმა სანთელი რომ დაიჭიროს ხელში და დღე და ღამ განუწყვეტლივ სცენაზედ გამოსასვლელი ქალი ეძებოს, ვეჭვობ, რომ იპოვოს. არ გამოდიან სცენაზედ, არა და არა! ხონის თეატრში თუ სხვა სოფლებ-ქალაქებიდგან არ ჩამოიყვანე მოთამაშე ქალი, მაშინ უნდა წარმოადგინო ისეთი პიესა, რომელშიაც ქალი არ ურევია, მაგრამ რადგანაც ასეთი პიესები ქართულს ენაზედ თითქმის არც კი მოიპოვება, მეტი ღონე არ არის,—კაცები უნდა გამოვიდნენ ქალების როლში. დიდება შენდა, ღმერთო! კარგი ცვლილებაა: კაცი—ქალად უნდა გადაიქცე, ან არა და უბედურების ასაცილებლად, გულშემატკივარმა ვაჟბატონებმა უნდა მიჰმართონ დრამატურგებს და მუხლ-მოდრეკით შეეხვეწონ,—ისეთი პიესები დასწერონ, რომლებშიაც ქალი არ იყოს და განსაკუთრებით ხონის სცენაზედ წარმოდგებოდეს ხოლმე.

წელს მაინც ჩვენი ქალები რაღაცა „გაკუჭდნენ“, თორემ ადრე ეს დალოცვილები პირ იქით გვეხვეწებოდნენ—სცენაზედ გამოგვიყვანეთო.

არ ვიცი, რას მივაწეროთ ასეთი გულგრილობა აქაურ ქალიშვილებისა თეატრისადმი. ესენი თეატრს რაღაცა ეჭვის თვალით უყურებენ, თითქო თეატრი უზნეო დაწესებულება იყოს. უზნეობა სცენაზედ გამოსვლა კი არ არის, არამედ უთავბოლო არშიყობა და კურკურ-მური... არ შეიძლიან არ ვუსაყვედურო თვით საზოგადოებასაც, რომელიც ცუდის თვალით უყურებს სცენაზედ მოთამაშე ქალებსა. მაგრამ რა! ეს მათს გაუგებრობის მომასწავებელია. დეე, იყეფონ! თქვენ, ქალბატონებო, ყურს ნუ ათხოვებთ!..

ვასიკო.

—

**ზესტაფონი.** აქაურს სამკითხველოს ბევრი მკითხველები ჰყავს, რომელთა რიცხვმაც უფრო იმატა მას შემდეგ, რაც ქალაქებიდგან მოსწავლეები ჩამოვიდნენ. როცა ტფილისიდგან მატარებელი ჩამოივლის და მოიტანს ფოსტას, სამკითხველოს ჟურნალ-გაზეთებს სტოვებს სადგურზედ. სამკითხველოს გამგე ვალდებულია მკითხველებს მიაწოდოს ახალი გაზეთები, მაგრამ მკითხველებს გაზეთების ცდაში სული ელევათ ხოლმე. სადგურზედ ხან ვინ გახსნის და კითხულობს, ხან ვინ. ეს კიდევ არაფერი: აპა, გაზეთი რისთვის არის თუ კაცმა არ წაიკითხა, მარა ხანდახან ამ ვაჟბატონებს მიაქვთ სამკითხველოს ჟურნალ-გაზეთები. საბრალოგამგე კი დაეძებს და მოდის სამკითხველოში ხელცარიელი. ვნახოთ, მოიღებენ გაზეთების წამღებნი მოწყალებასა, და რამდენიმე ხნის შემდეგ შემოაქვს სამკითხველოში გაზეთები, ან მომავალი ყვირილის „ანტრეპრენიორს“ ბ-ნ მ. გაჩეჩილაძეს და ან „არისტოკრატ-დემოკრატს“ და ამასთან „ტოლსტოველს“, როგორც თვითონ უწოდებს თავისს თავს, ბ-ნ ნოე ჩხეიძეს. აი ესენი გახლავან გაზეთისა და მკითხველების მტრები. თვითონ კი იკითხონ და სხვანი, უკაცრავული პასუხია, ფეხებზედ ჰკიდიათ.

—

### კეთილშობილ უქმაძეთა საყურადღებოდ.

საზოგადოდ, ჩვენში, როგორც მოგეხსენებათ, კეთილშობილთა წოდებას სამარცხვინოთ მიაჩნია შრომა, და კიდევაც გაურბის. როგორ, თუ მამა ჩემს ან პაპა ჩემს თუთხმეტი მოსამსახურე ადგა თავს, წყალს არ დალევდა თავის ხელით, ჩიბუხს არ მოუკიდებდა, მე-კი ხელით მუშაობაც ვიკადროვო. ფუ, იმ აზნაურს, რომელიც ასე გათახსირებულა და თოხისთვის-კი მოუკიდია ხელი თვისდა სამარცხვინოდ და ჩვენდა დასამცირებლადაო. იმას არ აქვს თავმოყვარეობა, მის ძარღვებში არ ჩუხჩუხებს კეთილშობილური სისხლიო. აი, ასეთის აზრის არიან დღევანდელი ჩვენი უქმაძეები პატიოსნურ შრომაზე.

ამავე დროს ჩემდა სასიამოვნოდ გავიგე სარწმუნო წყაროდგან შემდეგი: ს. ჭაგანში შემდგარა კეთილშობილთა ამხანაგობა. ამხანაგობის დევიზია, ჩამოაცილოს თავისი წევრები ბანქო-ბილიარდებსა და სამიკიტნოების „ჰარი-ჰარალოს“ და შრომას მიაჩვიოს. ამ აზრით ესენი იკრიბებიან ხან ერთ წევრისას, ხან მეორისას რიგ-რიგობით და მუშაობენ. მუშაობაში არავითარ სამუშაოს არ ერიდებიან, სამუშაო საათები ასეა განაწილებული: დილის ექვსი საათიდან ათამდის და საღამოს სამიდგან შვიდამდის, ე. ი. დღეში რვა საათი. ამ შრომას მშვენივრად შეეჩვივნენ, საგრძნობელი სარგებლობა მოუტანეს ერთმანეთს ეკონომიურად, ზნეობრივად და ფიზიკურადაც მოუხდათ. არ უწყენია იმათთვის მუშაობას. მხოლოდ წევრები ჯერ-ჯერობით ათის მეტი არა ჰყავს. გულწრფელად ვურჩევ ჩვენს უქმაძეებს, მიჰბაძონ ამ კეთილ დაწყობილობას, თორემ „შურდულში“ გამოქვეყნებული განცხადება, ასეა თუ ისე საიმედოდ არ მიმაჩნია და კიდეც რომ მართალი გამოდგეს, ერთ თვეში ისე გაძვირდება ულვაშის ღერი, რომ იმათ შოვნაზე ბევრად უფრო ადვილი ფულის შოვნა შეიქმნება.

რაჭ. გ—ია.

—

### გასართობი.

ერთ ამერელს სადილად იმერლის აზნაურშვილი ეწვია. სუფრა რომ გაშალეს, მასპინძელმა ხელი მოსჭიდა სტუმარს და უთხრა:

— „საჩინო, მობძანდი აქეთ, და გაიყვანა მეორე ოთახში, სადაც პირის საბანი ჰქონდა გაკეთებული და უთხრა, ხელები დაიბანეო.

საჩინომ დაიბანა, ხელების წმენდით

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

1 აგვისტო

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** კანონთა დებულებაში დაბეჭდილია, რომ ქ. [illegible] 900000 მანეთი [illegible].

**ᲐᲗᲘᲜᲘ.** [illegible] მინისტრს [illegible] უარი უთხრა.

**ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ.** კაბინეტის შედგენა ძნელდება.

**ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ.** [illegible]

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ.** [illegible]

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ.** [illegible] სალონი-კის ევროპიულ მატარებლის მოსვლისთანავე; ამ სამის კვირის წინად სცადეს აფეთქების მოხდენა. სალონიკის ვილაიეტში მკვლელობაც მოხდა, ცეცხლის წაკიდებაც და ძარცვა-გლეჯაც; მონასტირის ვილაიეტში ჯუფთი გაჩნდა. დერჯ-ში შეტაკებაა; მეორე მაზრაში დაჰგლიჯეს დეპეშის მავთულები და ბევრგან ცეცხლიც გააჩინეს.—ორ გავლენიან მაჰმადიან მოკვლის გამო დერჯში დიდად აღელვებულნი არიან. მოხელეებმა დაამშვიდეს მცხოვრებნი და ჩამოართვეს იარაღი და პატრონები.

— პელაგაშტში შეტაკება მოუხდათ ჯუფთებთან, 20 მეჯუფთე მოკლულ იქმნა, დ.ნარჩენნი ილვტენ.—სოფელ მეშტოვიტში შეტაკება მოხდა; მოკლულია 150 მეჯუფთე; ჯარს მოუკლეს ერთი და დაუჭრეს ორი.—დერჯიდგანა და მის მიდამოებიდგან მკვიდრნი ბულგარნი მთებში გაიხიზნა; მუდირ სარონიჩის სახლს ყუმბარა ესროლეს.—დეპეშის მავთულები მონასტირისა და სალონიკს შორის დაზიანებულია. მტერს მოსტაცეს ასამდე პურითა და სხვა სანოვაგით დასაპალნებული ცხოველი.—მოკლულია ბერძენი დი დაჭრილი ბავშვი.—მონასტირის მაზრის სიაფელ ტანოვოს ჯუფთებმა ალყა შემოარტყეს; ცეცხლი ბევრგან უკიდია.—მანლიხერის თოფებით შეიარაღებული ჯუფთები ბევრ სხვა-და-სხვა ადგილას გაჩნდნენ.—რადგან მონასტირის ვილაიეტში ასეთი ამბები ხდება და უსკუბის ვილაიეტიდგან-კი ჯარები უკვე წავიდნენ, მიტროვიცაში ალბანელები ფეხზე სდგანან.—ჯუფთა მოძრაობის შესახებ მეტად გაზვიადებული ხმები დაჰყარეს. მეამბოხეთ მხოლოდ 1/6 უჭირავთ მაკედონიის სამ ვილაიეტისა. საზოგადო რიცხვი ჯუფთების წევრთა 5,000-მდეა.—უსკუბის ვალი და დივიზიის გენერალი შაქირ-ფაშა, რომელიც ალბანელთა წინააღმდეგ მოქმედობდა, პრიზრენიდგან უსკუბს წავიდნენ.—პრეჟოვის მაზრაში შეტაკება მოხდა; მოკლულია 25 მეჯუფთე; დაჭრილი ბევრია. შეტაკება მოხდა აგრეთვე ორ ადგილას მონასტირის ოლქში; მეჯუფთეთ დაჰკარგეს 20 კაცი; შეტაკება სალონიკის ვილაიეტის ენიჯეს მაზრაშიაც მოხდა.—20 კაცი, რომელთაც ადრიანოპოლის სამხედრო სასამართლომ მცირე აზიაში გაგზავნა მიუსაჯა, უკანვე დაიბარეს ადრიანოპოლს, რათა სამოქალაქო სასამართლოს გადასცენ.—მოძრაობა მონასტირის ვილაიეტში მთელს მონასტირის სანჯაყს მოედო, უსკუბის ვილაიეტში მთელ მოსაზღვრე მაზრებს, სალონიკისაში—სამს მაზრას.—მონასტირის ვილაიეტის ქალაქი კრუშევო მეამბოხეთა ხელშია; გარს არტყია 3,000 ოსმალოს ჯარის-კაცი.—ხმები ოსმალეთის სამინისტროს კრიზისის შესახებ უსაფუძვლოა.

**ᲘᲝᲙᲝᲰᲐᲛᲐ.** სეულში მყოფმა იაპონიის დესპანმა ხელახლად მიჰმართა იოგამპოს შესახებ გარეშე საქმეთა მინისტრს, რომელმაც განაცხადა,—შეთანხმების ქაღალდი ჯერ ხელ მოწერილი არაა და ვეცდები ვიჯუს კარი გავაღებინო საგარეო გაჭრობისათვისაო.

**ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ.** ფონ-გესსლერი თანახმად თხოვნისა დათხოვნილ იქმნა სამხედრო მინისტრის თანამდებობიდგან და მის მაგივრად დაინიშნა გენ.-ლეიტ. ფონ-ეინემ-ფონ-როტმალერი. — „ფრან. ზეიტ." იუწყება,—ბულგართა ჯუფთმა ააფეთქა ფლორინოსთან, კუნძულსა და მონასტირის შუა, რკინის გზის ხიდი, სიგრძით 50 მეტრით.

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ.** პარლამენტი დაიხურა სეფე სიტყვით.

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** „მთავრობის უწყებებში" დაბეჭდილია გარეშე საქმეთა მინისტრის დეპეშები: პირველი სტამბოლის კარზე მყოფ ელჩისადმი ივლისის 29-ს: „დიდი მწუხარება სულთანის მიერ გამოთქმული, ელჩთან მისვლა პრინც ახმეტისა და სამძიმარი დიდ ვეზირისა, მინისტრთა და უმაღლეს მოხელეთა არ ჩაითვლება ჯეროვან დაკმაყოფილებად. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და მოწყალედ მოეპყრო მიტროვიცის კონსულის მკვლელს, რადგან ბოროტმოქმედება ჩაიდინა იმ დროს, როცა ეს ტომი თავის მთავრობის წინააღმდეგ იყო აჯანყებული.

სრულიად სხვა ხასიათისაა ბიტოლიაში ჩადენილი თავგასული ბოროტ-მოქმედება, რომელმაც სასტიკი სასჯელი უნდა გამოიწვიოს. ამის გამო ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება უმაღლესად გიბრძანოს, რომ თქვენ უარჰყოთ ყოველი სიტყვიერი დაპირება და მოსთხოვოთ შესრულება ამ პირობების: დაუყოვნებლივ და სასტიკად დაისაჯოს ჟანდარმი, როსტკოვსკის მკვლელი, დაპატიმრებულ და სამაგალითო დასჯილ იქმნას ყველანი, ვინც რუსეთის კონსულის ეტლს სროლა დაუწყო, დასარწმუნებელი საბუთები წარმოადგინონ, რომ ბიტოლის ვალი ნამდვილად გაძევებულია; სამსახურიდგან დათხოვნილ იზმაილ ხაკკის დაუბრუნდეს წინანდელი თანამდებობა; გაანთავისუფლონ გლეხები, რომლებსაც რუსეთისა და ავსტრიის კონსულებმა ჩვენება ჩამოართვეს ოსმალთა მხეცურ მოქმედების შესახებ; დათხოვნილ და დასჯილ იქმნან მოხელენი, რომელთა ბოროტმოქმედება გამხილდა; დაუყოვნებლივ მიიღონ უცხო სახელმწიფოთა ჯარის კაცები ჟანდარმებათა და პოლიციაში, ხალხის დასამშვიდებლად და მშვიდობიანობის ალსადგენად.

მეორე დეპეშა იმპერატორის დიპლომატიის აგენტისადმი ბულგარიაში 30 ივლისის თარიღით: „იმპერატორის მთავრობას არ შეუძლიან დასტოვოს ჯეროვანის სამაგიეროს მიუწყობლად ის შემაძრწუნებელი ბოროტმოქმედება, რომლის მსხვერპლადაც შეიქმნა რუსეთის თის კონსული ბიტოლიაში. მთავრობამ უკვე მიჰმართა სასტიკ ღონისძიებას და ითხოვს ოსმალეთისაგან შესაბამს დაკმაყოფილებას. როგორც ჩვენის მიტროვიცელ კონსულის მოკვლის შემდეგ, ჩვენ მედგრად მოვითხოვეთ დათრგუნვა იმ დროს ალბანელ ტომთა შორის აფეთქებულ აჯანყებისა, ისე ახლა ოსმალეთის მთავრობას მოთხოვნილი აქვს დასაჯოს ყველა წარმომადგენელი საერო და სამხედრო მთავრობისა, ვისაც-კი ბრალი დაედება, რომ მტარვალობით ეკიდებოდა მაკედონიის ქრისტეანეთა. ხოლო თქვენ უნდა იზრუნოთ, რომ ენერგიული მოთხოვნილება რუსეთისა ისე არ მიიღონ მაკედონიის კომიტეტებმა და ბულგარიის მთავრობამ, როგორც შეცვლა უკვე გამოცხადებულის პოლიტიკურის პროგრამისა. მთავრობას ნუ ეგონება, რომ ეს ღონისძიება რევოლიუციონერთა კომიტეტების გასამხნევებლად იყოს, რომელთა მოქმედება აბრკოლებს ვილაიეტების დამშვიდებას და რეფორმების შემოღებას. თვით სოფიის მართებლობაც მხნედ უნდა ეცადოს, რომ მშვიდობიანობა აღადგინოს ბალკანეთის კუნძულზე.—მესამე განსვენებულ რუსეთის კონსულის როსტკოვსკის ქვრივს: „ავგუსტოესმა ჩვენმა თვითმპყრობელმა კეთილ ინება გამოგიცხადოს გულითადი სამძიმარი თქვენის მეუღლის უდროოდ გარდაცვალებისა გამო. — „მთავრობის უწყებაში" დაბეჭდილია: გრაფ ლომბროზომს დეპეშა გაეგზავნა ელჩს ზინოვიევს სტამბოლში, 29 ივლისს და აცნობა, რომ ამავე დროს სევასტოპოლიდგან იგზავნება ოსმალეთის მხარეს სამხედრო გემები შავის ზღვის ფლოტისა.

**ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ.** ივლისის 31-ს რკინის გზის სადგურზედ კიდევ დააკავეს ბულგარიას გასაგზავნი ტრანსპორტი 50,000 მანლიხერის თოფითა და პატრონებით. ბულგარიას დააკისრეს 30,000 ფრ. ჯარიმა გაგზავნილ საქონლის არა მართლა ადრესისათვის.

**ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ.** სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასაჯა მიუსაჯა რუსეთის კონსულის მკვლელსა და ერთ მის თანამოზიარეს: გარდა ამისა 15 წლით მადნებში მუშაობა გადაუწყვიტეს ერთ ჟანდარმსა და 5 წლით მეორესა. ორი ოფიცერი სამსახურიდგან გადააყენეს. რომელთაც სიკვდილი მიუსაჯეს, აგვისტოს 1-ს უკვე ჩამოახრჩვეს.—კრუშევო, რომელიც მეამბოხეთა ხელში იყო, ოსმალებმა აიღეს.

**ᲡᲝᲤᲘᲐ.** გენერალი ცონჩევი და პოლკოვნიკი იანკოვი ბულგარიის პოლიციამ შეიპყრო იმ დროს, როცა მაკედონიის საზღვარზე გადასვლას აპირობდნენ.

**ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ.** სალონიკიდგან მოსულ ცნობებით ექშისტასთან გაცხარებული ბრძოლაა ოსმალეთის ჯარებსა და მათ მიერ მომწყვდეულ მეამბოხეთა შორის.

---

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ**, 1 აგვისტო

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 93,75 |
| ბერლინში 100 მარკაში. . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები. . . . . . . | 94,40 |
| ბერლინში ,, . . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში ,, . . . . . . . | — |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | 5 ½ % |
| 4% სახელმწიფო რენტა . | 99½ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . | 100 მყ. |
| 4% გირავნ. ფურც სახელ. საადგ. მამულო ბანკის . | 95⅛ მყიდ? |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. . . . . . | 449 გაყ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . . | 343 წვ. მყიდ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 291½ გაყ |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . . | 94¾ |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . . . . | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . . | 92½ გაყ. |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა. . . . . . . | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაიები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | — |
| აქციები ,, ,, ,, | — |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. . | 3750 წვ. გაყ. |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 387 წვ გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 188 წვ. გაყ. |

შეიდა ოთხში, სადაც [illegible]

— ეს კი ვიცი, რომ ჩვენში [illegible]

იყო ოთხი მი. [illegible]

ᲓᲐᲛᲨᲝᲑᲐ

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

1 აგვისტო

**ᲑᲐᲥᲝ.** თქვენმა „შურდულმა" *) სათ-ცარი ალიაქოთი აჲყენა ბალახანის საავადმყოფოში, დიდი თათბირის შემდეგ გადასწყდა ომი. მთავარ სარდლად ალატერ-ზარიანცი ამოირჩიეს, მან უნდა შეჰკრიბოს „ჯვაროსანთა" ჯარი, ჯერ ჩემზე გამოილაშქრიას და შემდეგ „შურდულის" რედაქციას შემოარტყას ალყა. თქვენ თქვენი იცით, მე კი ამისათვის დღეიდგან ვყიდულობ დიდ კოლოფ ბურნუთს როგორც-კი მოვატან თვალს ამ დიდებულ ჯარს (მაგრამ ღამით რომ დამესხან თავს, მაშინ რაღა მეშველება?!), მაშინვე შევიყრი ბურნუთს ცხვირში, ავსტეხავ საშინელ ცხვირის ცემას და იმედი მაქვს, რომ მტერს ამით ვძლევ.

**ᲑᲐᲚᲐᲮᲐᲜᲐ.** ბაქო-ბალახანას თითქმის ყოველ დღე ემატება „სადანტისტო კაბინეტი". პრაქტიკანტად სხვათა შორის ზოგიერთი ქართველი მოურავიც ჩაეწერა და დიდ უნარ-ნიჭსაც იჩენენ ამ საქმეში: ფიცს ამბობენ, გაზს არ ვხმარობთ კბილების მოსათხრელადაო და, თუ ერთი „მუშტის" შემოკვრით 10—15 კბილი ერთბაშად ვერ მოვაძროთ, ჯარიმა გადაგვახდევინეთო *).

(„შურდულის" დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 აგვისტო.

**ᲗᲣᲛᲐᲜᲐᲐᲜᲗ-ᲙᲐᲠᲘ.** „ნოვ. ობოზრ."-ის თანამშრომელს გაბ—იანცს არაფრად მოსწონებია „ქვათა ღაღადი" და ამ დღეებში მეორედ მიიტანა იერიში მათ დასადუმებლად.

**ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘ.** ქიზიყის დედა-ქალაქმა პირი შეჰკრა,—არამც და არამც გიმნაზია არ დავაარსოთო; რა ქიზიყელის საქმეა სწავლა-განათლება; ჩვენ ისიც გვეყოფა, რომ მუტრუკები ბლომადა გვყავსო.

**ᲮᲝᲜᲘ.** ჩვენი ნოქრები მთელის კვირის განმავლობაში კარ-ღია დუქნებში მუშაობენ, ხოლო კვირა-უქმეობით—კარ-ჩაკეტილში. ტყუილი ნათქვამი კი არაა,—ხონელი ვაჭარი ეშმაკსაც-კი მოატყუებსო.

**ᲑᲐᲥᲝ.** ერთი ქუა-პრუწე „კნიაზი" ხმალ-ხანჯალ-თოფ-ზარბაზნით შეიარაღებული, სადგურის უფროსს მიეჭრა და მოკვლას ჰლამობდა, მაგრამ გაჰკოჭეს ჟანდარმებმა და ვირის აბანოსაკენ წააჩანჩალეს ეს ბაქოელი დონ-კიხოტი

**ᲐᲛᲔᲠᲔᲗᲘ.** დიდი ნაწილი ამერეთის მემამულეთა გაიფიცა, — ადგილ-მამული ვაგირავოთ და აქიერიდგან ვალი აღარავის გადავუხადოთო. ამბობენ,—ეს მაგალითი იმერეთის კეთილშობილთაც დიდად მოსწონებიათ და, თურმე, მალე აპირობენ ამ გვარ შეთქმულობის მოხდენას.

---

### „ᲨᲣᲠᲓᲣᲚᲘ"-Ს ᲤᲝᲡᲢᲐ.

ს. ი—თი ა. ჯ—ს. ახალგაზდა პოეტალავ! იწყრებით: ჩემს ლექსს „მეხრე"-ს თქვენს „შურდულში" ადგილი დაუთმეთ, „თუ სასირცხო არ იქნებაო".

თქვენმა მზემ, სწორედ „სასირცხვო იქნება" და ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ პოეტ-ალობაზე ხელი აიღოთ, ჩვენც შეგვიბრალოთ, თქვენი თავიც, თუ არ გნებავთ კვლავ გტყორცნოთ „შურდული".

რედაქტორ-გამომცემელი ია ეგაძე.

*) იხილეთ „ივერია" 154

*) რაღა უჭირს საქართველოს!

ასოთ-ამწყობი.

---

## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ


ქუთაისში

ს. მ. ზ. ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐᲡᲘ

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲨᲘ,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. მგადამდების სენითა და სულით ავადყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

---

ᲡᲐᲙᲝᲡᲛᲔᲢᲘᲙᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ

БЕРТА РИСЪ



მის იმპერატორ. უდიდებულესობ. კარის ვაჭარი



Pasta Eugénie საცხებელი (პუდრა) პირისახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისაგან ალანძულებას, ჭორფლს, სიწითლის ლაქებს არბილებს პირისახის კანს, აგრეთვე სიახლესა და სილამაზეს აძლევს სახეს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

**ᲞᲣᲓᲠᲐ-Eugénie** თეთრი, ვარდის ფერი და რაშელი. მაგრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრეთვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

**ᲤᲔᲠ-ᲣᲛᲐᲠᲘᲚᲝ-Eugénie** (წყალივით არის) და აძლევს ლაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ეშინიან არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა. ფასი 1 მ. 50 კ.

Elixir-Mélange წყალივით სახმარია თმის აზრ-ს დელად და თავში ქერტლის გასაწყობად. ფასი 2 მ.

**ᲓᲐᲤᲜᲘᲡ ᲑᲐᲚᲖᲐᲛᲘ** (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. ნაზს სირბილეს და მარმარილოს მზგავს სისუფთავეს. აქრობს მზისგან ალანძულობას, ჭორფლს და კანის ყოველსავე ძი ებოებს. ფასი 1 მ. 75 კ.

**ᲥᲘᲜᲐᲥᲘᲜ-ᲒᲚᲘᲪᲔᲠᲘᲜᲘᲡ-ᲛᲘᲔᲠᲘ** თმის საცხებელი (პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად, გასახშირებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

**ᲡᲐᲦᲔᲑᲐᲕᲘ ᲗᲛᲘᲡᲐ** (რის-გუტმანი): შავი, მიხაკისფერი, შატენი და ბლონდი. ამ საღებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეირჩენს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო და არც ჯიგრის ფერს. ფასი 3 მან.

**ᲣᲜᲒᲐᲠᲣᲚᲘ ᲔᲡᲔᲜᲪᲘᲐ ᲣᲚᲕᲐᲨᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ** (რის გუტმან) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, ამაგრებს და ხელს უწყობს მათს სწრაფლს ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით ადვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

**ᲢᲝᲙᲐᲘᲡ ᲑᲐᲚᲖᲐᲛᲘ** (ქიმიკოსის რისგუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებსა, აქრობს ძირიან ფესვიანად. ფასი ფლაკონისა—80 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისშია. სააფთ. საქონ ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველ სააფთიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст."-იდან, № 233 1901 წ. (80—29)




ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ

Как улучшить Кавказскую народную школу (როგორ უნდა [illegible]) [illegible] ფასი [illegible] (30 კაპ.) (6—6)